ამ დღეებში ჩვენ გადავწყვიტეთ სპეციალურად მოგვეკოდა ხელი ამ საკითხისათვის. დავიბარეთ ტფილისის სადგურის უფროსი. კვლავ დაიწყო აღმაშფოთებელი უპასუხისმგებლობის დემონსტრაცია: ამხ. ხუნდაძე ბრალს დებს საორთქლმავლო დარგის მუშაკებს იმაში, რომ ისინი თავის დროზე არ იძლევიან ორთქლმავლებს. ორთქლმავლის დარგის მუშაკები კი ყველა ფერს აბრალებენ სავაგონო დარგის მუშაკებს. სავაგონო დარგის მუშაკები—„ობიექტურ" მიზეზებს..

ჩვენ, სადგურის ხელმძღვანელებთან და იმათთან ერთად, ვისაც აბრალებდენ და ვინც სხვებს აბრალებდა, მოვილაპარაკეთ, თუ როგორ მოაწყვეს პოლიტგანყოფილების მუშაკებმა პოლიტგანყოფილებისებურად მატარებლების გამგზავრება და ამის შედეგად, აი უკვე რამდენიმე დღეა, სამგზავრო მატარებლები დადიან თავის დროზე და ეს იმ დროს, როცა წინათ ტფილისის სადგურზე (მე ვლაპარაკობ იმ მატარებლებზე, რომლებსაც აქ ადგენენ) მატარებლები იგვიანებდენ ორ და ჯერ მეტ საათს. იბადება კითხვა: იყო თუ არა აღნიშნულ დაგვიანებათა დამკვიდრებულ პრაქტიკაში რაიმე ობიექტური მიზეზი? არა. იყო დაუდევრობა, უთაოობა, დისციპლინის უქონლობა. მაშასადამე, შეიძლება თუ არა ამ საქმის მოწყობა, როგორიც საჭიროა ისე? შეიძლება, რატომ არ მოაწყვეს? იმიტომ, რომ გამეფებული იყო სრული უპასუხისმგებლობა, უპასუხისმგებლობა მიღმად იქამდე, რომ მატარებლების შედგენის დროს ვაგონებს ერთმანეთზე არ აბამდენ. ზოგიერთი გამსინჯველი განგება აკრობდა. ფაქარს, რომ ღამით თავი არ შეეწუხებია ისეთი საქმისათვის, როგორიცაა მატარებლის დათვალიერება.

როგორც ხედავთ, ყველა მოყვანილი ფაქტი მჭერმეტყველურად მოწმობს, ერთი რამეს: ტფილისის სადგურზე, ტფილისის კვანძზე არ ჩანს სოციალისტიზრების და დამკვრელობრწ გაკლიერების. არ ჩანს გზისათვის სახრო მტკიცე, რკინისგზური დისციპლინა, სამხელო დისციპლინის მსგავსი დისციპლინა.

გავუფრთხილდეთ სოციალისტურ საკუთრებას

მთელი გზის და განსაკუთრებით გზაზე შრომის დისციპლინის მდგომარეობისათვის, თითქმის ყველაზე უფრო დამახასიათებელია ცნობები მატარებელთა მარცხის და ტვირთების მტაცებლობის შესახებ. შემთხვევებსა და მტაცებლობაში, როგორც სარკეში, ისე ჩანს რკინის გზის აგენტების თავად მუშაობა, დანაშაულებრივი დამოკიდებულება სოციალისტური საკუთრებისადმი და გზაზე გამეფებული უპასუხისმგებლობა. მტაცებლობის რიცხვი ყოველთვიურად მატულობს. იქლისში იყო მტაცებლობის 119 შემთხვევა, აგვისტოში—78, სექტემბერში—128 შემთხვევა.

მოპარული ძვირად ღირებული ადგილების ოდენობის მხრივ ცნობები ახეთია: ივლისში—89, აგვისტოში—211, სექტემბერში—256.

საქმე ეხება არა მარტო მთავრობის მიერ სოციალისტური საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის თაობაზე გამოცემული კანონის უხეშად დარღვევას, რაც ყოველ შეუწყნარებელია ტრანსპორტზე, რომლის წინაშეც ჩვენ ვაყენებთ სრულიად შეუფერებელი მუშაობის ამოცანას, არამედ საქმე ეხება იმ უდიდეს ზარალსაც, რომელიც გზას მოსდის.

საორიენტაციო ცნობებით გატაცებული ტვირთის ღირებულება ივლისში უდრიდა 21 ათას მანეთზე მეტს, აგვისტოში—35,5 ათას მან., სექტემბერში—43 ათას მანეთზე მეტს.

წარმოებს თუ არა ჩვენში ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა მტაცებლობასთან? მტაცებლობის ყოველთვიურად ზრდა თითონ იძლევა პასუხს ამ კითხვაზე. ჩვენ ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებს, როგორც საჭიროა, ისე ვერ მოუწყვიათ ბრძოლა ტვირთების დასაცავად. ჰკითხეთ პარტიულ კომიტეტების ტფილისის სადგურსა და ნავთლულის სადგურში, როგორ იბრძვიან ისინი მტაცებლობის წინააღმდეგ? ისინი თქვენ მოგითხრობენ მრავალრიცხოვან ბრიგადების, რაზმების და ნაგუშაგოების ამპავს, მაგრამ მეტწილად, ყველა ეს ბრიგადა არ შორდება ქალალდს და არავითარ მუშაობას არ აწარმოებს, აბა, სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ მტაცებლობა არამც თუ კლებულობს, არამედ მატულობს. პარტიულ ორგანიზაციებს თავის რეზოლუციებში უნდა ყოველთვიურად ითქვან რაც შეიძლება ნაკლები ბრიგადები რომლებიც მხოლოდ ფორმალურად ირიცხებიან ქალალდზე, ამის მაგივრად მათ უნდა შექმნან ნამდვილად შემოწმებული აქტივი მტკიცე და თავდადებული ამხანაგებისაგან, რომლებიც ბოლშევიკურად იბრძოლებენ მტაცებლობის წინააღმდეგ.

არ მცირდება შემთხვევათა რიცხვიც. შენელებული მარცხი, რამაც შეუწყვეტა რიგობა 2 საათზე მეტს, ივლისში იყო—[illegible], აგვისტოში—180, ნაკლებად მნიშვნელოვანი მარცხი ივლისში—221, აგვისტოში —201. მოძრაობის საერთო შეწყვეტა ივლისში ხდებოდა—162 საათს, ხოლო აგვისტოში—241 საათს. თუ შემთხვევებით გამოწვეული ზარალი ივლისში უდრიდა 127 ათას მანეთს, აგვისტოში მან მიაღწია 139 ათას მანეთს. როგორც ხედავთ, აქაც არ არის საქმე კარგ მდგომარეობაში, აქაც ადგილი აქვს უთაოობას და უპასუხისმგებლობას, აქაც გვაქვს უდიდესი ზარალი, რომელიც სახალხო მეურნეობას მოსდის რკინის გზის მუშაკთა შეუწყნარებელი მუშაობის გამო.

ყოველდღიურად ვიზრუნოთ მუშათა საჭიროებისათვის

ავღლოთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა მუშათა მომარაგების განყოფილებათა მუშაობა. ამ მუშაობაში ყველა დაინტერესებულია, მაგრამ რა გვაქვს ნამდვილად? მუშათა მომარაგების განყოფილებათა მუშაობა უმსგავსოდ და აღმაშფოთებლად წარმოებს. მუშაობაში არავითარი გარდაქმნა არ მომხდარა, გარდა იმისა, რომ წარწერა შეცვალეს: იყო რაიონსტრანსპორტო, სპმ-ად მუშათა საზოგადოებრივ, ახლა კი მუშათა მომარაგების ორგანიზაციისა. ამ ცვლილებით იმდენი „ეშარი" გამოიჩინა, რომ მიიღო ყველაზე „ბარკორო" მოუსვლიანობის საბჭოთა კავშირში—10 ჰექტარიდან 2 ტონა პამიდორი და კიდევ ამდენი 2 ტონამდე სიმინდის ღერებს.

ზამთარი ახლოვდება, მაგრამ მუშათა მომარაგების განყოფილებას დღემდის არ გაუ

ჩამორჩენილიდან მოწინავე გზად

ტფილისის კვანძის კომუნისტ-რკინისგზელების აქტივის საერთო კრების რეზოლუცია

ა.-კ. რკინის გზის პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. შვარცის მოხსენების გამო

ტფილისის სარკინისგზო კვანძის კომუნისტების აქტივის კრება იწონებს ტფილისის კომიტეტის ბიუროს და მეორე რაიონის პოლიტგანყოფილების დადგენილებას კვანძის მდგომარეობის შესახებ.

გზის პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. შვარცის მოხსენება მართებულად რაზმავს კომუნისტებს ყველა ნაკლთან საბრძოლველად, გეგმების შესრულებისათვის, საღი ორთქლმავლისა და ვაგონისათვის, რკინისებური დისციპლინისათვის საბრძოლველად, გზაზე მთელი პარტიული მუშაობის გადაჭრით გარდაქმნის და ძირეული პარტიული რგოლის განმტკიცების საფუძველზე.

ამიერ-კავკასიის ტრანსპორტზე მუშაობის გარდაქმნის საქმეში რკინისგზელთა ფართო მასები ჯერ კიდევ არ არიან ჩაბმულნი, შექმნილი არ არის საწარმოო აღტკინება და გარდატეხა ქვემოდან. მასები საბრძოლო წესით არ არიან დარაზმულნი, მათი შრომითი ენტუზიაზმი არ არის გაღვივებული. რკინის გზის კვანძის პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები და პროფესიული ორგანიზაციების სათავეში არ ედგნენ სოციალისტური შეჯიბრების ფართო ფრონტის ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მომზადებას, არ ჩაებნენ ამ საქმეში ფართო მასები, არ ჩაებნენ ძირეულად ინტერნაციონალური ვალდებულების შესრულებაში.

ვერ აშრიალდა შრომის დისციპლინის უცილობრივად დაცემას, ხოლო მუშაობის გარდაქმნაში საბოტაჟის წინააღმდეგ ბოლშევიკური ბრძოლის მაგიერ დაიბნა და ამის შედეგად ხაზის ხელმძღვანელობა კი არ გაძლიერდა, არამედ შესუსტდა" (ს.კ.კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებიდან კურსკის და ეკატერინის რკინის გზების შესახებ).

ს.კ.კ.პ. (ბ) ც. კ-ის ეს მითითება მთლიანად მიუდგება ამიერ-კავკასიის რკინის გზასაც მხოლოდ იმის მეოხებით, რომ გზის ხელმძღვანელობა — ცალკეული ხელმძღვანელები და ცალკეული ორგანოები ვერ შეეგუნენ ბოლშევიკურ ბრძოლას და ვერ შეეძლებინა ჩვენი საწარმოო ამოცანების განხორციელებას იმე, როგორც ამას ჩვენგან მოითხოვენ პარტია და სახელმწიფო.

ჩვენ ვერ შევქმენით მასების საწარმოო აღტყინების ზემოდან უსწორულო ცილობით და რეზოლუციებით. მხოლოდ სწორედ პარტიულ - მასობრივი მუშაობის გარდაქმნის საფუძველზე, განსაკუთრებული ძირეულ რგოლებში, დაბლიდან მტკიცე, პარტიულად ძლიერი აქტივის შექმნის გზით, ამ აქტივისა და პარტორგებისათვის სისტემატიური და რეგულარული დახმარების გაწევით ჩვენ მივაღწევთ რადიკალურ ბოლშევიკური გარდატეხას ყველა უბნებზე, ჩვენი გზის ყველა რგოლებში.

ვაძლევთ რა ასეთ უარყოფით დიდ მნიშვნელობას ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ძირეულ რგოლს, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ სხვა გაკეთილებიც. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთელი მუშაობის გაუარესებაში დამნაშავენი არიან არა მარტო უკრედები, არამედ ცალკეული რაიკომები, რომლებიც ცოცხალ კონკრეტულ ხელმძღვანელობას ცვლიან ბიუროკრატიული ხელმძღვანელობით. მაგალითად, ხაშურის რაიკომმა უკანასკნელი თვის განმავლობაში გამოიტანა 25 რეზოლუცია ხაშურის კვანძის მდგომარეობის შესახებ. გამოასწორა თუ არა მან ამ რეზოლუციებით მდგომარეობა კვანძზე? რასაკვირველია, არა! მრავალი რეზოლუცია გამოიტანა „მე" სახელობის რაიკომმაც, მაგრამ ამ რეზოლუციებით როდი იქნა აღმოჩენილი თვალსაზრისის გაუსწორებლობა ამ საქმის ცოდნის ნაკლებობის, ისე ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის ფეტიშიზმის გამო.

ტფილისის კვანძის ხელმძღვანელობა „ტრანსპორტის შესახებ ც. კ-ის და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების გამო... ვერ აშრიალდა შრომის დისციპლინის უცილობრივად დაცემას, ხოლო მუშაობის გარდაქმნაში საბოტაჟის წინააღმდეგ ბოლშევიკური ბრძოლის მაგიერ დაიბნა და ამის შედეგად ხაზის ხელმძღვანელობა კი არ გაძლიერდა, არამედ შესუსტდა" (ს.კ.კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებიდან კურსკის და ეკატერინის რკინის გზების შესახებ).

ს.კ.კ. (ბ) ც. კ-ის ეს მითითება მთლიანად მიუდგება ამიერ-კავკასიის რკინის გზასაც მხოლოდ იმის მეოხებით, რომ გზის ხელმძღვანელობა — ცალკეული ხელმძღვანელები და ცალკეული ორგანოები ვერ შეეგუნენ ბოლშევიკურ ბრძოლას და ვერ შეეძლებინა ჩვენი საწარმოო ამოცანების განხორციელებას იმე, როგორც ამას ჩვენგან მოითხოვენ პარტია და სახელმწიფო.

ჩვენ ვერ შევქმენით მასების საწარმოო აღტყინების ზემოდან უსწორულო ცილობით და რეზოლუციებით. მხოლოდ სწორედ პარტიულ - მასობრივი მუშაობის გარდაქმნის საფუძველზე, განსაკუთრებული ძირეულ რგოლებში, დაბლიდან მტკიცე, პარტიულად ძლიერი აქტივის შექმნის გზით, ამ აქტივისა და პარტორგებისათვის სისტემატიური და რეგულარული დახმარების გაწევით ჩვენ მივაღწევთ რადიკალურ ბოლშევიკური გარდატეხას ყველა უბნებზე, ჩვენი გზის ყველა რგოლებში.

ვაძლევთ რა ასეთ უარყოფით დიდ მნიშვნელობას ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ძირეულ რგოლს, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ სხვა გაკეთილებიც. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ

ქიმიური მრეწველობის გიგანტი ქუთაისში

ქუთაისი, 12 ოქტომბერი. ქუთაისში წარმოებს საბჭოთა კავშირის ქიმიური მრეწველობის ერთერთი უმძლავრესი ქარხნის —ლიტოპონის ქარხნის მშენებლობა.

ლიტოპონი არის თეთრი მინერალური საღებავი, რომელიც ფართოდ იხმარება სამღებრო საქმეში, რეზინის მრეწველობაში,

აქამდის არსებობს ლიტოპონის მხოლოდ ერთი ქარხანა, სახელდობრ ლენინგრადის ეოროვსკის სახ. ქარხანა, რეკონსტრუირებული და გაფართოებული უკანასკნელ წლებში, რომელიც ამუშავებს მხოლოდ რეზინის მრეწველობისათვის გამოსადეგ ლიტოპონს.

თეთრ სამღებრო ფერადების მოთხოვნილება ჯერჯერობით თუთიის მათეთრის წარმოებით აღნიშნული მათეთრის დასამზადებლად საჭიროა 3—4 ჯერ მეტი თუთია, ვიდრე სინთეზის გამგე ლიტოპონის დასამზადებლად, რომელიც თავისი ხარისხით არა თუ არ ჩამორჩება თუთიის მათეთრს, არამედ ზოგიერთი მხრით კიდეც სჯობს მას (მოითხოვს უფრო ნაკლებ ოლიფას, ვიდრე თუთის მათეთრი).

ძირითად ნედლეულს, რომელიც საჭიროა ლიტოპონის წარმოებისათვის წარმოადგენს ბარიტი, რომელსაც იღებენ ქუთაისის მახლობლად: შემდეგ საჭიროა ქვანახშირი, რომლის მიღებაც ქარხანას შეუძლია ტყიბულიდან და ტყვარჩელიდან; გოგირდოვანი თუთის კონცენტრატები, რომელიც მოიპოვება ზანგეზურის რაიონში, გოგირდის სიმჟავე, რომელსაც ქარხანა მიიღებს მშენებლობის პროცესში მყოფ ალავერდის ქარხნისაგან.

ამგვარად ლიტოპონის წარმოებისათვის საჭირო მთელი ძირითადი ნედლეული მოიპოვება ამიერ-კავკასიაში; ამასთან მთავარი მასა (ბარიტი და ქვანახშირი) მოიპოვება ქუთაისის მახლობლად.

შუქგამძლე ლიტოპონის დამამზადებელი კომბინატი წელიწადში მოგვცემს 12 ათას ტონას შუქგამძლე ლიტოპონის გამომუშავების მხრით იგი ყველაზე უფრო მძლავრი იქნება მთელ საბჭოთა კავშირში.

კომბინატის მთავარი კორპუსი (ლიტოპონის ქარხანა) შედგება სამი ძირითადი საამქროდან: გოგირდოვან ბარიტის საამქრო, თუთიის შაბამანის საამქრო და თვით ლიტოპონის საამქრო. ამას გარდა, ქიმკომბინატთან მოეწყობა მთელი რიგი დამხმარე საწარმოები, მაგალითად: გოგირდ-თუთიის კონცენტრატების გამოსაწვავი საამქრო, ქლორის საფქვავი საამქრო, შემფუთავი საამქრო, მექანიკური სახელოსნო და სხვ.

კომბინატი შენდება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. იგი მთლიანად იქნება მექანიზირებული, ავტომატები მზადდება საბჭოთა კავშირში.

მთელი გაშენებული ფართობის საერთო კვადრატურა დამხმარე საამქროებით და პირველი რიგის საბინაო მშენებლობით დაახლოებით ხუთრის 17 ათას კვადრატულ მეტრს, რომლებიდანაც კომბინატის მთავარ კორპუსს უჭირავს დაახლოებით 4.500 მეტრი.

კომბინატში მისი ექსპლოატაციის დროს იმუშავებს 400 მუშა.

ქარხნის მშენებლობა დაიწყო „ზაკხიმსტროის" 1931 წლის დამლევს, ამასთან საიდანაც საამშენებლო სამუშაოს აწარმოებდა სამხრეწმშენი. იმის გამო, რომ „ზაკხიმსტროი" ცუდ ხელმძღვანელობას უწევდა მშენებლობას სამხრეწმშენიც უმსგავსად ეკიდებოდა საქმეს. 1932 წელს ნავარაუდევი გეგმა არ იქნა შესრულებული და მშენებლობამ ძალიან ცოტათი წაიწია წინ. ასეთივე მდგომარეობაში იყო საქმე 1933 წლის პირველ ნახევარშიაც. ასეთი ჩამორჩენის მოთმენა კომბინატის მშენებლობაში შეუძლებელი იყო. მოხდა „ზაკხიმსტროის" ლიკვიდაცია (1932 წლის დამლევს) და მშენებლობა გამოყოფილ იქნა როგორც ცალკე საალმშენებლო ერთეული; განსახლებულ იქნა ხელშენებლობაც.

ივნისიდან დაწყებული თანდათანობით მატულობდა თვიური გეგმების შესრულების პროცენტი. ივლისში გეგმა შესრულებულ იქნა 74 პროცენტით, აგვისტოში—79 პროცენტით; სექტემბერში—104,2 პროცენტით. საშუალოდ მესამე კვარტალის გეგმა შესრულებულია 86,4 პროც., როცა მშენებლობა, გეგმასთან შედარებით, უზრუნველყოფილი იყო მუშა-ხელით 56 პროცენტით.

მთავარი კორპუსის ნაგებობათა მზაობის პროცენტი 1 ოქტომბრისათვის უდრის 62,3-ს; ამას გარდა მშენებლობამ აიწია წინ სხვა ობიექტების მიხედვითაც, როგორიცაა: ძირითადი საწყობი, მექანიკური სახელოსნო და საბინაო მშენებლობა.

მოხდა გარდატეხა მშენებლობის ტემპებში. მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი ვერ არის რიგზე. მშენებლობა არ არის უზრუნველყოფილი საშენი მასალით—უმთავრესად ქვიშით, ალურით, ლურსმანითა, შუშით და სახურავი მასალით; იგი განიცდის მუშა-ხელის ნაკლებობას. მშენებლობას არ ეძლევა ელექტროენერგია, რის გამოც შეუძლებელია იმ მექანიზმების გამოყენება, რომლებიც მას მოეპოება; არ არის საკმაო სატრანსპორტი საშუალებანი და სხვ. კომბინატის მშენებლობაზე მუშაობს 19 სხვადასხვა კვალიფიკაცის ბრიგადა, რომლებმაც მთელი რიგი ხელისშემშლელი მიზეზების მიუხედავად, შესძლეს თავის დავალების დარაზმვა და კარგი შედეგების მიღწევა. სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს ამხ. შ. დოლიძის მებეტონეთა ბრიგადა (სექტემბრის გეგმა შესრულებულია 150 პროცენტით), ამხ. ვლ. კობაძის მიწის მთხრელთა ბრიგადა (გეგმა შესრულებულია 130 პროცენტით), ამხ. მოროზოვის დურგალთა ბრიგადა (136 პროც.), ამხ. ოზმაიოლოვის (პარტიის წევრია) მიწისმთხრელთა ბრიგადა (სექტემბრის გეგმა შესრულებულია 125 პროც.), ამხ. ავეტისიანის კალატოზთა ბრიგადა (180 პროც.), იგლინის ხუროთა ბრიგადა (145 პროც.) და სხვ. აღნიშნული ბრიგადების თავდადებული მუშაობის მეოხებით, რომლებმაც უკანასკნელი თვეები გამოაცხადეს მუშაობაში (სექტემბრის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა).

მშენებლობაზე საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. მოეწყო საკუთარი სახადილო (ყოველდღე მზადდება ხორცეული) შეკეთებულ იქნა ცხოვრებელი სახლები; მუშები სავსებით უზრუნველყოფილი არიან [illegible] საქმით პუნქტი, სადაც [illegible] მორიგეობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

ლაშაღებავების მრეწველობის კომბინატის ხელმძღვანელობამ უნდა შეინარჩუნოს მოწეწული წარმატებები; მან კიდევ უფრო მეტად უნდა გააძლიეროს ბრძოლა ამხ. სტალინის 6 პირობის, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და ცენტრ. საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის და უზრუნველყოს კომბინატის ამოუშავება მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაზე—1935 წლის მეორე კვარტალში (ადს).

საშემოდგომო საკოლმეურნეო ბაზრობა ტფილისში

ნოემბრის შუა რიცხვებში ტფილისში გაიხსნება სამშემოდგომო საკოლმეურნეო ბაზრობა. საბაზრო ვაჭრობა მოეწყობა ცენტრალურ და ახალ ბაზრებზე, მაიდანის, დესიმონის, აველაბრის, ახალციხელის და ვერის ბაზრებზე.

ბაზრობისათვის მზადებასთან დაკავშირებულ მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად და საბაზრო ვაჭრობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მოეწყო საბაზრო კომიტეტი, რომელშიაც შედიან ტფილისის საბჭოს, ქალაქის მომარაგების განყოფილების, მოვაჭრე კოოპერატიული და სახვაჭრობის ორგანიზაციების და რაისაბჭოების წარმომადგენლები. მოსამზადებული მუშაობის თავს დროზე ჩასატარებლად საბაზრო კომიტეტი რაიონებში გზავნის სპეციალურ ბრიგადებს.

ცეკავშირი ამუშავებს ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია რაისამომხმარებლო კავშირების, სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებების და კოლმეურნეობების ბაზრობაში მონაწილეობასთან თვით დამზადების პროდუქციით. ამჟამად საბაზრო კომიტეტი ადგენს შემხვედრი ვაჭრობის გეგმას, არკვევს ბაზრობის მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობას და სამრეწველო საქონლის იმ ფონდების ოდენობას, რომლებიც უნდა გამოიყოს, მათთვის.

მომარაგების განყოფილება და რაისაბჭოები შეუდგენ ბაზრების მოყვანას წესრიგში. თვითეული ბაზრისათვის დაგება მუშაობის გეგმა, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს, ბაზრების ტერიტორია გაფართოებული იქნება. ბაზრებზე აშენებული იქნება დუქნები, ფარდულები და სხვა.

დიდი ყურადღება ექცევა ბაზრობაზე ჩამოსულ კოლმეურნეთა კულტურულ საყოფაცხოვრებო მომსახურების უზრუნველყოფას. გლეხკომებმა და გლეხთა სასახლემ უნდა უზრუნველყონ ღამის გასათევი სახლების და ფარეხების მოწყობა თვითეულ ბაზარზე. საჯეების ტფილისის ტრესტი ბაზრებზე აწყობს სასადილოებს და საჩაიეებს; სარეწაო კავშირი—სამჭედლო, სამკერვალო და ფეხსაცმელების სახელოსნოების ქსელს კოლმეურნეთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად შემუშავებულია ბაზრობის კულტმომსახურების გეგმა.

14 ოქტომბერს შესდგა სრულიად საქართველოს საკონვენციო ბიუროს გაფართოებული სხდომა ტფილისში საშემოდგომო-საკოლმეურნეო ბაზრობის ორგანიზაციის საკითხზე.

თათბირს დაესწრენ საქონლის გამტარი ქსელის, კოოპერატიული ორგანიზაციების, მიწსახკომის, ფინსახკომის და სხვა დაინტერესებული დაწესებულებების და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომაზე დამუშავებულ იქნა საორიენტაციო ვარაუდები სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიხედვით, რომელიც შემოტანილ უნდა იქნას ბაზრობაზე საქართველოს რაიონებიდან.

ამ საორიენტაციო ვარაუდის მიხედვით, საქართველოს რაიონებიდან ბაზრობაზე შემოტანილი იქნება: 60 ცენტნეროზე მეტი კარაქი, დაახლოებით 700 ცენტნერი ყველი, ერთ მილიონზე მეტი კვერცხი, დაახლოებით 60 ათასი ცალი ცოცხალი და დაკლული ფრინველი, 10 ათას ცხვართან ერთად (ცოცხალი წონა) მსხვილი რქოსანი და ღორი—გადაწყდა მიღებული საორიენტაციო ციფრები დაეყვანილ იქნას რაიონულ საკონვენციო ბიუროებამდე დასაზუსტებლად და ბაზრობაზე საქონლის მოტანის ორგანიზაციისათვის.

უახლოეს დღეებში რესპუბლიკანურ ბიუროს სხდომაზე დამუშავდება საკითხი ხილბოსტნეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემოტანის უზრუნველყოფის შესახებ. ბაზრობაში რაიონების მონაწილეობის გეგმის საბოლოოდ დასამტკიცებლად გადაწყდა უახლოეს დღეებში მოწვეულ იქნას რესპუბლიკანური საკონვენციო ბიუროს გაფართოებული სხდომა რაიონული საკონვენციო ბიუროების და ტფილისის საქონლისგამტარ ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით.

სხდომის მონაწილეებმა გამოსთქვეს სურვილი მიაღწიონ მონაწილეობა ბაზრობაში აზერბეიჯანის და სომხეთის ცალკეულ რაიონებს. (ადს).

ფიზკულტურა და სპორტი

ფეხბურთი ერევნის „დინამოსა" და ტფილისის ნაკრებებს შორის

ტფილისის ნაკრები და ფოთის ნაკრები ტფილისის ნაკრებს ვერ დაამარცხებენ

14 ოქტომბერს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ტფილისის ნაკრებსა და ფოთის ნაკრებ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. სტადიონი სავსე მაყურებლებით. თამაში ცოცხლად და ხალისიანად დაიწყო. გაიმალნენ მოთამაშენი მოედანზე. უახლოვდება ბურთი ფოთის კარებს. მოსალოდნელია ხიფათი. მაგრამ ფოთის გუნდის დამცველი ბურთს აბრუნებს უკან; ბურთი პერიოდულად გადადის ხან ერთი გუნდის, ხან მეორის ხელში. თამაშის პირველი ნახევრის მე-30 წუთზე, ტფილისის ნაკრები გუნდის კარებზე იქმნება კრიტიკული მდგომარეობა. ძლიერი დარტყმაც და ტფილისის მაღეში ექცევა ბურთი. პირველი ნახევარი თავდება 1:0.

მეორე ნახევარი ტფილისელების შეტევით დაიწყო. ტფილისელები გადადიან თავდასხმაზე, მაგრამ ფოთელები თავისუფლად იგერიებენ მათ. წაიღეს ბურთი ფოთის კარებისაკენ. ბურთი ასლამაზოვის ფეხებშია. ასლამაზოვი სწრაფად აწყდება ბურთს აბაშიძეს. რამდენიმე ლამაზი კომბინაცია და აბაშიძე ძლიერი დარტყმით არღვევს ფოთელების კარებს. რამდენიმე წუთის შემდეგ ფოთის გუნდი კიდევ ღებულობს თავის კარებში მეორე ბურთს. ტფილისელებმა გაცხოველეს თამაში. გადადიან უშუალო თავდასხმაზე, მოსალოდნელი იყო კიდევ მესამე ბურთის გატანა, მაგრამ ფოთის გუნდმა შეაღწია თავდასხმის ტემპები და გადავიდა თავდაცვაზე. ამდაგვარად, თამაში მთავრდება ტფილისის ნაკრები გუნდის ნასარგებლოდ 2:1.

ფოთის გუნდი ძლიერი გუნდია. მათ რამდენადაც კარგი გამძლეობა და სისწრაფე აქვთ, იმდენად ნაკლები აქვთ ბურთის კოლექტიური გადაცემა, რასაც უნდა მიაქციონ ყურადღება. ტფილისელებიდან ამ დღეს კარგად თამაშობდნენ—აბაშიძე და ფარსელია, ასლამაზოვი ვერ თამაშობდა მონდომებულად.

ფ

მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტი „დინამო" პირველი

დღეს ლენინის სახ. სტადიონზე გაიმართება მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და „დინამო" პირველის ფეხბურთელთა გუნდების მე-6 შეხვედრა.

გათუმი: ამხ. ლ. ბერიას სახელობის სანატორნო სადგური.

სურათზე: ბაიდარკების მონაწილე ქალთა ერთი ჯგუფი.

კარტიული და საბჭოთა კანონიკარი

16 ოქტომბერს სალამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპაგანდის ამხ. ორაგველიძესთან მოწვეულია რაიონული პარტაქტივის სემინარის ყველა ხელმძღვანელთა თათბირი. დღის წესრიგი: საინსტრუქციო მოხსენება თემაზე: „ფაშიზმი და სოციალ-ფაშიზმი". რაიონული პარტაქტივის სემინარის ყველა ხელმძღვანელის დასწრება ვალდებულია.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტში ამხ. ფეხაძესთან (ოთახი № 30) 17 ოქტომბერს სალამოს 8 საათზე მოწვეულია თათბირი სკოლების უზრუნველყოფის შესახებ სახელმძღვანელოებით. აუცილებელია შემდეგი მხანაგების დასწრება: გოგუაძე (ლენსახკომი), გეორგაძე (განათლების განყოფილება), შარძათიცი, ლორთქიფანიძე (სახელგამი), სიგუა (ორჯონიკიძის რაისაბჭო), ბურუსიძე (ლენრაისაბჭო), ესაიაში (26-ის რაისაბჭო), შეინგარაძე (სტალინის რაისაბჭო), ივ. ძიძიგური (საგარეუბნო რაისაბჭო), მე-57, 25 13 და 72 საქარხნო საფაბრიკო სკოლების გამგეები.

—:—

16 ოქტომბერს დღის 12 საათზე საქ. კომკავშვრის ცეკას მდივნის ამხ. გოორგობანის კაბინეტში შესდგება კულტტექტაფების რესპუბლიკანური შტაბის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწროს შემდეგი ამხანაგები: კ. ორაგველიძე (ცეკა), გორდელაძე, მგელაძე, ლეონიძე (განსახკომი), გაბისონია, თოფურია (განკ. მუშ. კავშირი), ბოკუჩავა, ჩაჩავა (პროფსაბჭო), რუსაძე (კომკ. ტფ. კომ.), ენუქიძე, მახარაძე („ახ. კომ."), მეტრეველი, ლუარსაბოვი, ახობაძე, საბახტარიშვილი (კომკ. ცეკა), მიქაძე, დადიანი, კანდელაკი, ხარაზიანი (სოცკულტურა), მაილიანი (განკ. განყ.), სოკუროვი, მაწიშვილი, მშვილდიშვილი, გაზ. „კომ სიხარულიძე და ჯანიშვილი.

—:—

16 ოქტომბერს დილის 10 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ტფ. ორგ. გ.-უბნის რაიკომის კულტპროპაგანდაორგანიზატორთა (ვაზისუბნის ქუჩა № 14 მესამე სართულზე) მოწვეულია თათბირი კულტუტაფების მუშაობის მიმდინარეობის შესახებ. თათბირს უნდა დაესწროს: ძიძიგური, ზარანაძე, ფარსელია, ბერიხოძე, კარაპეტიანი, ეხუქიძე, ვერულაშვილი, მაილიანი, ლორთქიფანიძე.

—:—

ს.კ.პ. (ბ) ტფ. ორგ. გ.-უ. რაიონული საკ. კომისია-მუშმლეფინის წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ გ.-უ. რაისაკ. კომისიაში სომხის ბაზრის ქ. № 4) 19 ოქტომბერს, დღის სრულ 12 საათზე. ზერეთელაშვილი ნიკოლოზ, ჭანკვეტაძე ლევან.

დღეს, 16 ოქტომბერს, სალამოს 7 საათზე საქართველოს ცაკში ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით შესდგება ქართული სახტამბო შრომატა რეფორმის კომიტეტის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნება ამხ. დ. შევარდნაძის საინფორმაციო მოხსენება სახტიფის რეფორმის შესახებ. აღნიშნულ სხდომაზე საქიროა შემდეგი ამხანაგების დასწრება: გორდელაძე, კ. ორაგველიძე, შალიკაშვილი, მ. ტოროშელიძე, ნ. კიკნაძე, პაატაშვილი, ბ. ბებინეიშვილი, მ. გოგუაძე, შეფარდნაძე, შარლემანი, კაკაბაძე, ე. ბერიძე, დ. ორაგველიძე, პროფ. უზნაძე, მადერი, სახელმწიფო უნივერსიტეტიდან: ლ. არნიაშვილი, ა. შანიძე, ა. ჭუმნია, მ. მესხელიშვილი, ი. ჩიქობავა, კ. ჭკუასელი, პედაგოგიკის და პედალოგიის ინსტიტუტიდან: თამარაშვილი, ექიმი ხიხარულიძე და ჯანიშვილი.

აწჰესზე საფუძველი ჩაუყრეს საგე-ნერატორო შენოგას

ბასიანი, 14 ოქტომბერი. 14 ოქტომბერს აწჰესის მშენებლობაზე საფუძველი ჩაუყარეს საგენერატორო შენობას, რომელიც ნავარაუდევია საერთოდ 23.250 ცხენის ძალის მქონე ორი აგრეგატისათვის. საფუძვლის ჩაყრას საზეიმო ხასიათი ჰქონდა. მას დაესწრენ მშენებლობის მუშების და სპეციალისტების – ტექნიკური კოლექტივის, მეზობელი სოფლების კოლმეურნეების, სოფლის ორგანიზაციების წარმომადგენლები პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ ბუაჩიძის მეთაურობით.

საღამოს 5 საათზეთვის მშენებლობაზე გაიმართა მიტინგი, ხოლო 6 საათზე მოხდა შენობის საფუძვლის ჩაყრა. ამ მომენტიდან შეუდგენ საგენერატორო შენობის დაბეტონებას. ბრიგადირ კოლომიეცების ნებლობამ ძალიან ცოტათი წაიწია წინ. ასეთივე მდგომარეობაში იყო საქმე 1933 წლის პირველ ნახევარშიაც. ასეთი ჩამორჩენის მოთმენა კომბინატის მშენებლობაში შეუძლებელი იყო. მოხდა „ზაკხიმსტროის" ლიკვიდაცია (1932 წლის დამლევს) და მშენებლობა გამოყოფილ იქნა როგორც ცალკე საალმშენებლო ერთეული; განსახლებულ იქნა ხელშენებლობაც.

ივნისიდან დაწყებული თანდათანობით მატულობდა თვიური გეგმების შესრულების პროცენტი. ივლისში გეგმა შესრულებულ იქნა 74 პროცენტით, აგვისტოში—79 პროცენტით; სექტემბერში—104,2 პროცენტით. საშუალოდ მესამე კვარტალის გეგმა შესრულებულია 86,4 პროც., როცა მშენებლობა, გეგმასთან შედარებით, უზრუნველყოფილი იყო მუშა-ხელით 56 პროცენტით.

მთავარი კორპუსის ნაგებობათა მზაობის პროცენტი 1 ოქტომბრისათვის უდრის 62,3-ს; ამას გარდა მშენებლობამ აიწია წინ სხვა ობიექტების მიხედვითაც, როგორიცაა: ძირითადი საწყობი, მექანიკური სახელოსნო და საბინაო მშენებლობა.

მოხდა გარდატეხა მშენებლობის ტემპებში. მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი ვერ არის რიგზე. მშენებლობა არ არის უზრუნველყოფილი საშენი მასალით—უმთავრესად ქვიშით, ალურით, ლურსმანითა, შუშით და სახურავი მასალით; იგი განიცდის მუშა-ხელის ნაკლებობას. მშენებლობას არ ეძლევა ელექტროენერგია, რის გამოც შეუძლებელია იმ მექანიზმების გამოყენება, რომლებიც მას მოეპოება; არ არის საკმაო სატრანსპორტი საშუალებანი და სხვ. კომბინატის მშენებლობაზე მუშაობს 19 სხვადასხვა კვალიფიკაცის ბრიგადა, რომლებმაც მთელი რიგი ხელისშემშლელი მიზეზების მიუხედავად, შესძლეს თავის დავალების დარაზმვა და კარგი შედეგების მიღწევა. სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს ამხ. შ. დოლიძის მებეტონეთა ბრიგადა (სექტემბრის გეგმა შესრულებულია 150 პროცენტით), ამხ. ვლ. კობაძის მიწის მთხრელთა ბრიგადა (გეგმა შესრულებულია 130 პროცენტით), ამხ. მოროზოვის დურგალთა ბრიგადა (136 პროც.), ამხ. ოზმაიოლოვის (პარტიის წევრია) მიწისმთხრელთა ბრიგადა (სექტემბრის გეგმა შესრულებულია 125 პროც.), ამხ. ავეტისიანის კალატოზთა ბრიგადა (180 პროც.), იგლინის ხუროთა ბრიგადა (145 პროც.) და სხვ. აღნიშნული ბრიგადების თავდადებული მუშაობის მეოხებით, რომლებმაც უკანასკნელი თვეები გამოაცხადეს საბრძოლო თვეებით, მიღწეულ იქნა გარდატეხა მუშაობაში (სექტემბრის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა).

მშენებლობაზე საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. მოეწყო საკუთარი სახადილო (ყოველდღე მზადდება ხორცეული) შეკეთებულ იქნა ცხოვრებელი სახლები; მუშები სავსებით უზრუნველყოფილი არიან [illegible] საქმით პუნქტი, სადაც [illegible] მორიგეობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში.

ლაშაღებავების მრეწველობის კომბინატის ხელმძღვანელობამ უნდა შეინარჩუნოს მოწეწული წარმატებები; მან კიდევ უფრო მეტად უნდა გააძლიეროს ბრძოლა ამხ. სტალინის 6 პირობის, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და ცენტრ. საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის და უზრუნველყოს კომბინატის ამოუშავება მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაზე—1935 წლის მეორე კვარტალში (ადს).

ხელოვნება

მიმდინარე სეზონი სახელმწიფო ოპერაში

სახელმწიფო ოპერამ უკვე ათი წარმოდგენა მოგვცა.

თუ ჩატარებულ სპექტაკლებს განვიხილავთ ახალი ძალების ხარისხის მხრივ, უნდა ვსთქვათ, რომ ოპერის დირექციას ამ დარგში უდაო მიღწევები აქვს. ის მომღერლები, რომლებიც ჩვენ ვნახეთ პირველ წარმოდგენებში, სავსებით დამაკმაყოფილებელ მთავარ ძალებს წარმოადგენენ ტფილისისათვის. ასეთია, მაგალითად, ძლიერი დრამატიული სოპრანო ფუკაჯაძე, რომლის გამოსვლა „ტოსკა"-ში მაჩვენებელია მომღერლის მაღალი ვოკალური კულტურის და ძლიერი სცენური ექსპრესიის, ბალი, მოქნილი და ლამაზი ტემბრის კოლორატურული სოპრანოს პატრონი დემბიტოვა და ლირიული სოპრანო რადომსკაია, რომელმაც ბატერფლის („ჩიო-ჩიო-სან") როლის შესრულებით და ჭკუაში, რომ მასში დიდი ვოკალური და სცენიური შესაძლებლობაა. საინტერესო მომღერალია აგრეთვე ბელსკი (სახასიათო ტენორი).

ამასთანავე პირველმა წარმოდგენებმა ცხადჰყვეს ჩვენი ადგილობრივი კადრების დაწინაურებაც. უდაო ზრდის ნიშნებს ამჟღავნებს დ. ბადრიძე, რომელიც დაჯილდოებულია ამჟამად მოქნილი და ლამაზი ხმით. ეს მომღერალი ორი-სამი წლის განმავლობაში გაიზარდა მსხვილი მასშტაბის სოპანერ ძალად, მაგრამ მის შესრულებას ატყვია დაღი იმ უსისტემო და უგეგმო მუშაობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა, და ნაწილობრივ ეხლაც აქვს, ოპერაში ადგილობრივი კადრების აღზრდის საქმეში. ჩვენ კატეგორიულად უნდა გავაფრთხილოთ მომღერალი ვოკალური „ტრიუკებისაგან", რასაც ზოგჯერ ადგილი აქვს მის სიმღერაში და ხელს უშლის პარტიურის იმ სახით მიტანას მაყურებლამდე, როგორც ეს კომპოზიტორს ჰქონდა დაწერილი.

ადგილობრივ ძალებთან მუშაობა ეხლაც სუსტი ადგილია ოპერის საქმიანობაში. სპექტაკლები, სადაც მთავარი პარტიების შესრულებელთა უმრავლესობას ადგილობრივი ძალები შეადგენენ, სუსტად მიდის („პიკის ქალი"), არ ჩანს რეჟისორის, როგორც ზოგჯერ დირიჟორის ხელიც. ახალგაზრდა